

პრეტენზიის წარდგენის პროცედურა

1. მომხმარებლებისაგან პრეტენზიების მიღება ხდება წერილობითი და ელექტრონული ფორმებით.
2. წერილობითი ფორმით პრეტენზიების წარდგენის შემთხვევაში იხილეთ სტანდარტული წერილობითი ფორმა.
3. წერილობითი პრეტენზიების წარდგენა შესაძლებელია სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი“-ს არსებულ ფილიალებში შემდეგ მისამატებზე:
 - საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზირი N37 (0108).
 - საქართველო, თბილისი, გლდანის „ა“ მ/რ 50-ე კორპუსის მიმდებარედ (0167).
4. ელექტრონული ფორმით პრეტენზიების მიღება ხდება შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@georgiancapital.ge.
5. წერილობით მიღებული პრეტენზიის მიღება დასტურდება ქსეროასლის დამოწმებით მიმღების ხელმოწერით და დათარიღებით, ელექტრონულის კი - წერილის მიღების ელექტრონულად გაგზავნილი დასტურით.
6. პრეტენზიის შესწავლისა და განხილვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 1 (ერთი) თვისა, რომელიც აითვლება მომხმარებლის მიმართვისა და იდენტიფიკაციიდან.
7. ორგანიზაციის მიერ პრეტენზიის შესწავლისა და განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება პრეტენზიის განმცხადებელ მომხმარებელს ეცნობება იმავე ფორმით, რა ფორმითაც მოხდა პრეტენზიის წარდგენა.
8. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი“ უფლებამოსილია უარი თქვას პრეტენზიის მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) ორგანიზაციას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით უკვე განხილული აქვს იმავე მომხმარებლის იგივე პრეტენზია წერილობითი ფორმით და ადგილი არ აქვს დამატებით მნიშვნელოვან ფაქტებსა და გარემოებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
 - ბ) მომხმარებლის პრეტენზია ეხება ორგანიზაციის უარს მომხმარებლისთვის ფინანსური პროდუქტის მიწოდებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ორგანიზაციას ეკისრება აღნიშნული ფინანსური პროდუქტის მიწოდების ვალდებულება;
 - გ) პრეტენზიის მიზეზს წარმოადგენს შეფერხებები ან უარი მომსახურების გაწევაზე, რომლებიც განპირობებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით, მათ შორის საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“